

მდინარე აჭარისწყლის ჰიდროენერგეტიკული გამოყენება და ცვალებადობის მასშტაბები

ზურაბ ხომასურიძე

ელ.ფოსტა: zurab.khomasuridze2014@ens.tsu.edu.ge;

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*

ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

საქართველო ჰიდრორესურსების მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა. მის ტერიტორიაზე დაახლოებით 26 ათასი მდინარე მიედინება, აქედან 300-მდე მდინარეს გააჩნია შედარებით მაღალი ენერგეტიკული პოტენციალი და არსებობს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ ამ რესურსის ათვისების შედეგად მოხდეს ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის სწრაფი ზრდა, რაც განავითარებს ქვეყნის ეკონომიკას. ამისათვის საჭიროა კიდევ უფრო გაიზარდოს სხვადასხვა სიმძლავრის ჰესების მშენებლობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ მდინარეებს, რომლებიც მიედინებიან უმეტესად მთებიან რეგიონებში და ხასიათდებიან ვარდნილი წყლის დიდი ენერჯით. ასეთ მდინარეებზე ჰესების მშენებლობით შესაძლებელია ნაკლები ტერიტორიის დატბორვით მეტი ენერჯის გამომუშავება. ხსენებული ტიპის მდინარეებს განეკუთვნება მდ. აჭარისწყალი, რომელზეც ამ მხრივ მასშტაბური პროექტი ხორციელდება. ეს პროექტი ითვალისწინებს მდინარის ხეობაში ჰესებისა და კასკადების აგებას. ასეთ დროს მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ის გავლენა რასაც აღნიშნული ახდენს მდინარის წყლის რეჟიმზე, როგორც მშენებლობის ისე ექსპლუატაციის ეტაპზე, ამ კუთხით განხილული გვაქვს მდ. აჭარისწყალის პირვანდელი და მშენებლობის შემდგომი რეჟიმული ელემენტები, რაც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ მშენებარე ჰიდროელექტროსადგურების ზეგავლენა მდინარის ჩამონადენის რაოდენობრივ მახასიათებლებზე.